ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება №01
2019 წლის 31 იანვარი

დაბა ლენტეხი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წვრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსლების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართელობის კოდექსი" 24-მუხლის მე-2 პუნქტის, 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლენტეხი მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

+

მუხლი 1

დამტკიცდეს ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულ თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯების ანაზღაურების წესი", დანართი 1-ის შესაბამისად.

+

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

+

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი

+

მუხლი 1

1.საკრებულოს წევრს (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული ხარჯები უნაზღაურდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან თვეში არაუმეტეს 400 (ოთხასი) ლარისა:

ა) საკრებულოს სხდომებში მონაწილეობისთვის;

ბ) საკრებულოს კომისიების მუშაობაში მონაწილეობისთვის;

გ) საკრებულოს ფრაქციების მუშაობაში მონაწილეობისთვის;

დ) ამომრჩევლებთან შეხვედრებისთვის (შესაბამისი საოქმო ჩანაწერის გაფორმებით).

2. საკრებულოს წევრს ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,ა"ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად ეძლევა 130 (ას ოცდაათი) ლარი, ,,ბ", ,,გ" და ,,დ' ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად 90(ოთხმოცდაათი) ლარი.

+

მუხლი 2

საკრებულოს წევრის მიერ ხარჯის გაწევის დამადასტურებელ დოკუმენტად ჩაითვლება საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების სხდომებსა და ამომრჩევლებთან შეხვედრებში მისი მონაწილეობის ამსახველი შესაბამისი საოქმო ჩანაწერი.

+

მუხლი 3

1. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯის ოდენობა თითოეული საკრებულოს წევრისთვის ყოველთვიურად განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მიწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის) საფუძველზე.

2. საკრებულოს წევრის საქმიანობის აღრიცხვის წარმოებას ახორციელებს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია.

+

მუხლი 4

საკრებულოს წევრის უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურება ხდება ყოველი მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.